წერილების მარათონი

AMNESTY INTERNATIONAL

„ჟურნალისტი იმიტომ გავხდი, რომ ყველას ხმა ისმოდეს“

ნარგიზ აბსალამოვა

აზერბაიჯანი

თავისუფლებანარგიზს

აზერბაიჯანი

27 წლის ნარგიზისთვის ჟურნალისტიკა იყო ოცნება - საშუალება, რიგითი ადამიანების ხმა გაეძლიერებინა.

აზერბაიჯანში ასეთი ოცნება სახიფათოა. ჟურნალისტები ადამიანის უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლებისთვის ბრძოლის წინა ხაზზე დგანან - ამ ბრძოლას კი დიდი რისკი ახლავს. ნარგიზისთვის, როგორც ახალგაზრდა ქალისთვის, ჟურნალისტად გახდომა კიდე უფრო რთული იყო, რადგან ოჯახის რამდენიმე წევრი მის პროფესიულ არჩევანს ეწინააღმდეგებოდა.

ნარგიზი ქვეყნის ერთ-ერთ ბოლო დამოუკიდებელ მედიაორგანიზაციაში - „აბზას მედიაში“ მუშაობდა და კორუფციას, უსამართლობას, ქალთა უფლებებსა და გარემოსდაცვით საკითხებს აშუქებდა. თუმცა მას ეს ძვირი დაუჯდა - ის სცემეს და დააპატიმრეს. 2023 წლის დეკემბერში ნარგიზი შეთითხნილი ბრალდებით დააკავეს და ფულის კონტრაბანდაში დაადანაშაულეს. ასეთივე ბრალი ათობით სხვა ჟურნალისტს აქვს წაყენებული.

„ჩემი დაპატიმრების შემდეგ სულ იმაზე მეფიქრება, რამდენმა უფლებაშელახულმა ადამიანმა აკრიფა ჩემი ტელეფონის ნომერი, მაგრამ ვერ დამიკავშირდა,“ ამბობს ნარგიზი ციხიდან.

ბოლო ორ წელიწადში გაიზარდა დაპატიმრებული ქალი ჟურნალისტების რაოდენობა. 2025 წლის ივნისში ნარგიზს 8 წლით პატიმრობა მიუსაჯეს მის ექვს კოლეგასთან ერთად. პროტესტის ნიშნად, მან და სხვა ორმა ქალმა ზურგი შეაქციეს მოსამართლეს, როდესაც ის განაჩენს კითხულობდა. ერთხელ კი პოპკორნი მოიტანეს და სასამართლო სხდომას როგორც დადგმულ სპექტაკლს დასცინეს.

ნარგიზი არც ციხეში გაჩუმებულა. ის და სხვა ჟურნალისტები განაგრძობენ უსამართლობის და მძიმე პირობების აღწერას.

აჩვენეთ ნარგიზს, რომ ის მარტო არაა - მოითხოვეთ მისი გათავისუფლება ახლავე.

მისწერეთ პრეზიდენტს

გაუგზავნეთ წერილი აზერბაიჯანის პრეზიდენტს. მოითხოვეთ ნარგიზ აბსალამოვას დაუყოვნებელი გათავისუფლება და მისთვის ყველა ბრალდების მოხსნა.

პრესის თავისუფლება ადამიანის უფლებაა. ჟურნალისტები არასდროს არ უნდა ისჯებოდნენ თავიანთი საქმიანობის შესრულებისთვის.

მისალმება: ბატონო პრეზიდენტო
ელფოსტა: office@pa.gov.az
X: @Presidentaz
INSTAGRAM: presidentaz
ჰეშტეგი: #თავისუფლებანარგიზს

მისამართი: President of Azerbaijan
Ilham Aliyev
Office of the President of Azerbaijan
19 Istiqlaliyyat Street
Baku AZ1066, აზერბაიჯანი

მისწერეთ სოლიდარობის წერილი

აზერბაიჯანში ხელისუფლება აჩუმებს ნარგიზის მსგავს დამოუკიდებელ ჟურნალისტებს. ის და მისი კოლეგები ციხიდან განაგრძობენ უსამართლობის გაშუქებას.

გაუგზავნეთ ნარგიზს სოლიდარობის ბარათი. მას პოეზია უყვარს და ერთი ლექსი მას იმედსა და ძალას შემატებს.

ელფოსტა:
გთხოვთ, დაასკანერეთ წერილები და გააგზავნეთ ამ მისამართზე:
letterstonargiz@abzas.org

ჰეშტეგი: #თავისუფლებანარგიზს
#თავისუფლებააბზასმედიას

X: @FreeAbzasMedia

ინდექსი: EUR 55/0352/2025
პირველი გვერდის ფოტო: ულვი ალი და ფარგანა ნოვრუზოვა
ბოლო გვერდის ფოტო: ფარგანა ნოვრუზოვა, აბზას მედია